№ 108 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, მაისის 16 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა

სთხოვს საზოგადოების წევრებს დაესწრონ კვირას, 23 მაისს 1920 წ. დილის 11 საათ. გორის საკრებულოს საზაფხულო დარბაზში

## საზოგადოების მორიგ წლიურ კრებას.

თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება ინიშნება ამავე წლის 6 თიბათვეს; მეორე კრება კანონიერია, მიუხედავათ დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

**განსახილველი საგნები:**

1. გამგეობას და საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
4. არჩევნები საბჭოს ორი წევრისა ნაცვლად ა. ზ. მეზურიშვილისა და პ. ქ. ჯაფარიძის, რომელთაც ვადა გაუვიდათ.
5. არჩევნები გამგეობის სამი წევრისა.
6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1920 წლის ანგარიშის შესამოწმებლათ და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურ წესრიგს.

490 3—2

## გამგეობა ქართული სავაჭრო ბანკისა ქ. ფოთში

### ამით აცხადებს ბ. აქციონერების საყურადღებოდ,

რომ მეორე ნახევარი 50%, ტ., ხუთასი მანეთი თითო აქციაზე უნდა იქმნეს შემოტანილი არა უგვიანეს

## პირველ ივლისისა ამა წლისა,

აღნიშნული ბანკის სალაროში. ვინც აღნიშნულ ვადაზე ფულს არ შემოიტანს სრულათ, თანახმად ბანკის წესდების 8 მუხლისა, გადახდება ხელმომწერლების ბანკის სასარგებლოდ ყოველ გადაცილებულ დღეში 6% ჯარიმა და 6 პროც. პენია წლიურ ანგარიშით. და ნომრები ფული შემოუტანელ აღნიშნული ვადაზე მოწმობებისა იქნება გამოცხადებული „საქართველოს რესპუბლიკა"-ში და ამ განცხადების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ფული თუ არ იქნება სრულად შემოტანილი, გამგეობა ვალდებულია გაყიდოს ბირჟაზე მაკლერის საშუალებით ყველა მოწმობები, რომლითაც ფული არ შემოუტანია იმ ნომრებით, რომელიც იყო გამოცხადებული. შემდეგ ვადა გასული მოწმობები გამოცხადებული იქნება გაუქმებულად და ახალ მყიდველებს მიეცემა ახალი მოწმობები იმავე ნომრებით, იმ აღნიშვნით, რომ ეს მოწმობები მიცემულია ძველის მაგიერ თავის დროზე ფულის გადაუხდელობის გამო. აღებული ფულიდან ამ მოწმობების გაყიდვისგან ყოველივე ხარჯი და პროცენტის გამოკლებით დაუბრუნდება თავიანთ პატრონს.

930 3—2

## გაიცემა იჯარით საწყობებისთვის ათას საჟენზე მეტი ადგილი

**დიდი მთავრის ქ., № 24,**

სადაც იყო შეშის და ხის მასალის საწყობი.

პირობების შეტყობა შეიძლება 9—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში ქარვასლის და ელექტრონის კანტორაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 5 (ყოფილი თავად-აზნაურობისა).

445

## განცხადება

**შინაგან საქ. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება**

იწვევს ექიმ-ვეტერინარებს და ფერშლებს თავისუფალ სანაპირო (მოსაზღვრე) სვეტერინარო პუნქტების თანამდებობაზედ. ჯამაგირი თვიურად ექიმებს 5492 მ. 50 კ. ფერშლებს—1212 მ. თხოვნები cuicnium vite-თი შემოტანილ უნდა იქნეს 4 ივნისამდე. კობის ქუჩა № 9.

1045 2—1

შინაგან საქ. ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება

## ოფიციალური განყოფილება

## ტფილისის მიწათ-მზომელთა სასწავლებლის შტატი.

| თანამდებობა. | მოსამსახურეთა რაოდენობა. | გაკვეთილების რიცხვი. | წლიური ჯილდო. ძირითადი ჯამაგირი. | ბინისათვის. | სულ. |
|---|---|---|---|---|---|
| დირექტორს, თანამდებობისა და 6 გაკვეთილისათვის | 1 | 6 | 14400 | ბინა | 14400 |
| ინსპექტორს, ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლს, თანამდებობისა და 12 გაკვეთილისათვის | 1 | 12 | 12000 | ბინა | 12000¹) |
| **მასწავლებელნი.** | | | | | |
| ქართული ენისა, და სიტყვიერებისა, რუსული ენისა, მათემატიკისა, ფიზიკისა, და კოსმოგრაფიისა, ისტორიისა, გეოდეზიისა, ნიადაგ მეცნიერებისა, ტაქსაციისა, საინჟენერო მეურნეობის ხელოვნება, სამიჯნო კანონმდებლობა, ეკონომიური გეოგრაფია, კერძოთ მიწათ-შემუშავება, კანონმდებლობა, ხატვა, კალიგრაფია და ხაზვა | 12 | 102 | — | — | 51300²) |
| რვეულების გასწორება | — | — | — | — | 4500 |
| ექიმი | 1 | — | 2400 | — | 2400³) |
| საქმის მწარმოებელი | 1 | — | 5400 | — | 5400 |
| ფიზიკურ კაბინეტის, ქიმიის, სამეურნეო და ნიადაგის გაუმჯობესებისა | 4 | — | 450 | — | 1800 |
| გეოდეზიურ კაბინეტისა და საწყობის გამგებლობისათვის | 1 | — | 1200 | — | 1200 |
| ბიბლიოთეკის გამგე | 1 | — | 600 | — | 600⁴) |
| საბჭოს მდივანი | 1 | — | 600 | — | 600 |
| ხელმძღვანელი საზაფხულო გეოდეზ. პრაქტ. | 4 | — | 2000 | — | 8000 |
| ბინის ქირა, განათება, გათბობა, წყალი და სხვა | — | — | — | — | 45120 |
| საკანცელარიო ხარჯი და წიგნების შეძენა ბიბლიოთეკისათვის | — | — | — | — | 5000 |
| მსახურნი | 3 | — | 3600 | — | 10800 |
| სულ წლიურად | — | — | — | — | 163120 |

ხოლო შვიდს თვეში 1919 წლ. ნოემბრის 1-დან 1920 წლ. იანვრის 1-დე . 95.153 მ. 31 კ.

**შენიშვნა:** ¹) 1. შტატები შედგენილია მიხედვით მასწავლებელთა უმაღლეს განათლებისა.

**შენიშვნა:** ²) 2. 102 გაკვეთილიდან 76 სპეციალი საგნისა, 26 საზოგადო გინათლებისა.

**შენიშვნა:** ³) 12 მასწავლებელთაგან 5 შტატინ მასწავლებელია, ხოლო 7 მასწავლებელი თავისუფლად დაქირავებულია.

**შენიშვნა:** ⁴) 3. გარდა ამ საერთო თანხისა სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლიურად გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

1920 წ. მარტის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი

**ქ. ტფილისის კომენდანტისა.**

13 მაისი, 1920 წ., № 1.

§ 1.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების მთავარი სარდლის ბრძანებისა დავინიშნე ქ. ტფილისის კომენდანტათ და 11 ამა მაისიდან შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას.

§ 2.

ჩემდამი რწმუნებული სამმართველო მოთავსებულია ბროსსეს ქუჩაზე № 2, რასაც ვაცხადებ ცნობისათვის.

§ 3.

კატეგორიულათ უკრძალავ სამხედრო ფორმის ტარებას ყველა იმ პირთ, რომლებიც არ ირიცხებიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ნამდვილ სამსახურში;

ის სამხედრო პირნი, რომელნიც ირიცხებიან სამსახურში უცხო სახელმწიფოთა მისიებში სამხედრო მისიის წევრათ უნდა იქონიონ სათანადო ნებართვა სამხედრო ტანისამოსის ტარებისა.

კომენდანტის შტაბ-ოფიცრებს და ადიუტანტებს ვავალებ სასტიკათ ადევნონ თვალყური ამ ჩემი განკარგულების მტკიცეთ შესრულებას და ვინც შემჩნეული იქნება ჩემი მოთხოვნილების დარღვევაში, უნდა წარმოდგენილი იქნას საკომენდანტო სამმართველოში.

§ 4.

ყველა სამხედრო პირნი, რომელნიც ჩამოსული არიან და ჩამოდიან ქ. ტფილისში შვებულებაში ან სამსახურის მოვალეობის გამო აუცილებლათ ვალდებულნი არიან გამოცხადნენ კომენდანტის სამმართველოში სარეგისტრაციოთ. სასტიკათ უკრძალავ ქ. ცხოვრებას მათ, ვისაც არა აქვს პირადობის მოწმობა და საბუთი; სამხედრო პირთ, რომელნიც შემჩნეული იქნებიან საზოგადოებრივ და სამხედრო წესიერების დარღვევაში; მთვრალები გამოჩნდებიან ქუჩაში ან საზოგადოებაში იქნებიან სასტიკად დასჯილნი.

პოლკოვნიკი **მიქაშავიძე.**

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

1920 წ. მაისის 8, № 139.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. აპრილის 8-ს დადგენილებისა ჩაირიცხნენ იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნენ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თანამდებობათა უმცროს კანდიდატებად ვიქტორ კონსტანტინეს ძე აბესაძე, ნიკოლოზ სარდიონის ძე გელოვანი და დიმიტრი კალისტრატეს ძე ჩიკვაიძე ა. წ. მაისის 8-დან იმ პირობით, რომ მათ ევალებათ $^1/_2$ წლის განმავლობაში ჩააბარონ სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

1920 წ., მაისის 10, № 140.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ა. წ.-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილის 8-ს დადგენილებისა ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს ტფილისის სასამართლო პალატის სასამართლო თანამდებობათა უნცროს კანდიდატად ქეთევან ისაკის ასული ჩიგოგიძისა ა. წ. მაისის 10-დან იმ პირობით რომ მას ევალება ნახევ. წლის განმავლობაში ჩააბაროს სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია.

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა ნავთსადგურთა სამმართველოსადმი.**

10 მაისი, 1920 წ., № 50.

ნავთსადგურთა საქმეების სარევიზიოდ იგზავნება ფოთს სპეციალური კომისია დეპარტამენტის ახალ რკინის გზათა განყოფილების ინჟენერ კრანცის მეთაურობით. კომისიაში შევლენ სახელმწიფო კონტროლის და მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელნი და აგრეთვე ერთი პირი მცოდნე ბუხჰალტერიისა. კომისია გაემგზავროს ფოთს არა უგვიანეს 12 მაისისა.

10 მაისი, 1920 წ., № 51.

მტკიცდება: გზატკეცილთა სამმართველოს მე-7 დისტანციის უფროსის თანამდებობის ალმასრულებლად გზათა ტეხნიკოსი ვასილ ნასიძე, ა. წ. 1 მაისიდან, დისტანციის უფროსის პირველი ხარისხის ჯამაგირით.

გზათა დეპ. დირექტ. ჰიჭინაძე.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

29 აპრილი, 1920 წ., № 156.

დაინიშნოს სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების უფროსად სამთო ინჟენერი ვასილ კონსტანტინეს ძე გუნცაძე ამა წლის 1 მაისიდან.

29 აპრილი, 1920 წ., № 157.

დანიშნულ იქმნას ქ. ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ დიმიტრი დავითის ძე ალშიბაია ამა წლის 1 მაისიდან.

30 აპრილი, 1920 წ., № 158.

დაინიშნოს ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ მიხეილ მალაქიას ძე ბაქრაძე ა. წ. 1 მაისიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის ალმასრულებელი ს. ჟვალიანი.

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათუმის საკითხი და სომხეთის დელეგაცია.

გაზ. „ერთობაში" მოთავსებულია საუბარი საქართველოს რესპუბლიკის მისიის თავმჯდომარე ზ. კ. საბახტარაშვილთან, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა იტალიიდან; საუბარი ეხება ბათუმის საკითხს. მოგვყავს აქვე:

— რა მდგომარეობაშია ამჟამად ბათომის საკითხი?

ამ კითხვაზე კ. საბახტარაშვილმა შემდეგი განაცხადა:

— როგორც იცით, საკითხი ბათომის და ბათომის ოლქის შესახებ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წინაშე დაისვა ორჯერ: ერთხელ ლონდონში და შემდეგ სან-რემოში. ლონდონში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო შემდეგი აზრის იყო: მთელი ბათომის ოლქი უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილათ: თვით ქალაქი მცირედი ზონით უნდა გამოცხადებულიყო ინტერნაციონალურ ტერიტორიათ. ტერიტორია მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან ვიდრე 1914 წლის საზღვრამდე უნდა გადასცემოდა სომხეთის რესპუბლიკას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ბათომის ოლქისა —საქართველოს. მაგრამ ლონდონის კონფერენციის შემდეგ ეს საკითხი გადასინჯულ იქნა ჯერ კიდევ პარიზში და მერე სან-რემოში. პარიზში მოკავშირეთა წარმომადგენლებმა საჭიროთ დაინახეს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილიყო ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის—საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის—შეთანხმებით. რამდენჯერმე მოხდა პარიზშივე ამ რესპუბლიკათა დელეგაციების შეერთებული სხდომა, ხოლო სან-რემოში, სადაც მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ჰქონდა სხდომები, ამ საკითხმა მიიღო უფრო კონკრეტიული ხასიათი. სან-რემოში წამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულა: ქ. ბათომი და ბათომის ოლქი გადავა საქართველოს სუვერენულ უფლებაში იმ პირობით, რომ სომხეთის რესპუბლიკას უფლება ჰქონებოდა რკინის გზის გაყვანისა ბათომამდე და ბათომიდან 1914 წლის საზღვრამდე რიზესკენ. ამ რკინის გზას უნდა გაევლო ჯერ ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, შემდეგ უნდა გადმოსულიყო მარჯვენა ნაპირზე ბათომთან შესაერთებლათ. ეს რკინის გზები საჭირო ზონითურთ უნდა ალიარებულიყო უდავოთ სომხეთის რესპუბლიკის სრულ საკუთრებაში. ამგვარათ იყო საკითხი დასმული სომხეთის დელეგაციისაგან სან-რემოში ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის მიერ. უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა სომხეთის დელეგაციის ხსენებულ მოთხოვნას ალნიშნულ თათბირზე მხარი დაუჭირა ულტიმატუმის სახით, მოითხოვა რა ამ პროექტის მიღება საქართველოს დელეგაციისაგან. საქართველოს დელეგაციამ, რა თქმა უნდა, კატეგორიული უარი განაცხადა ასეთი პროექტის მიღებაზე, ვინაიდან ამ პროექტის მიღება მოასწავებდა სამუსლიმანო საქართველოს და მით მთელი საქართველოს რესპუბლიკის საარსებო ინტერესების შებღალვას; ის კვეცდა საქართველოს სუვერენულ უფლებას მთელ ოლქზე, სრულიად არ უწევდა ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და მით აუტანელ მდგომარეობაში აგდებდა მთელ ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანობას. საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ ის მხედველობაში ღებულობს სომხეთის ინტერესებს, თვით საქართველო გაიყვანს საჭირო რკინის გზას და, რა თქმა უნდა, სომხეთის რესპუბლიკას მისცემს საშვალებას ამ სწორის გზით სარგებლობისას. ადერბეიჯანის დელეგაციაც დაეთანხმა საქართველოს დელეგაციის მოსაზრებას. სომხეთის დელეგაციამ კი ამაზე განაცხადა შემდეგი: თუ სომხეთის დელეგაციის პროექტი მიღებული არ იქნება, მაშინ ის გაცილებით უფრო მეტს მოთხოვნას წარადგენს ბათომის ოლქის შესახებ.

— მაშასადამე ბათომის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია?

— ასეთ მდგომარეობაში იყო ბათომის საკითხი 26 აპრილამდე, როცა მე გამოვედი სან-რემოდან. უმაღლესმა საბჭომ შესწყვიტა აქ თავისი სხდომები და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ უმაღლეს საბჭოს შემდეგ სხდომამდე ეს ფრიად მნიშვნელოვანი და ჩვენი რესპუბლიკის საარსებო საკითხი გადაუწყვეტელი რჩება.

— სჩანს, რომ ბათომის საკითხს ამწვავებს სომხეთის რესპუბლიკის მოთხოვნილება.

— როგორც ნათქვამიდან სჩანს, სომხეთი ბათომსა და მის ოლქზე დიდ პრეტენზიებს აცხადებს და ეს გარემოება, სამწუხაროთ, ბათომის საკითხის გადაჭრას მეტის მეტად ართულებს.

— თქვენ, ეჭვი არ არის, ხელთ გაქვთ ნათქვამის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები.

— რა თქმა უნდა მაქვს და ყველა საბუთები გადავეცი გარეშე საქმეთა სამინისტროს. საბუთები უეჭველია თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

# მდგომარეობა გუმბრში

## (ალექსანდროპოლი)

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იტყობინება 13 მაისის დეპეშით ერევნიდან. „ჯავშნიანი მატარებლისა და ქალაქ გუმბრის დაპყრობამ მოღალატე ბოლშევიკთა ჯგუფის მიერ, საერთო აღშფოთება გამოიწვია. ყველა მოქალაქენი და ჯარის ნაწილები მოითხოვენ ბოლშევიკურ ავანტიურის ლიკვიდაციას. პარლამენტის წევრები წავიდნენ. მთავრობამ ყოველგვარი ზომები მიიღო ბოლშევიკების მოქმედების წინააღმდეგ. მიღებულია კანონი, რომლის ძალით სიკვდილით ისჯება მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულნი. გუმბრში გაიგზავნა ძლიერი დამსჯელი რაზმი მოხალისეებითურთ. 12 მაისს მოხდა პირველი შეხვედრა ბალშევიკთა ჯავშნოსანთან, რომელიც გაიქცა. ჯარი გუმბრისკენ იწევს. მიღებულ ზომების გამო, ალექსანდროპოლის ბალშევიკებმა წინადადებით მიმართეს დღეს მთავრობას. მთავრობამ წინადადება მისცა დამორჩილდნენ. ყარსიდან რადიოთი იტყობინებიან, რომ იქ სრული სიმშვიდეა. ჯარი ყველგან ძლიერ ნების ყოფას იჩენს რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლაში. არსად წესრიგი არ დარღვეულა. ცხოვრება ყველგან ნორმალურათ მიმდინარეობს.

# საქართველოს გარემო

გერმანიის სოციალ-დემ. ორგანო „ფორვერტი" უმაღლეს საბჭოს მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ცნობას სიხარულით ეგებება; აღწერს თვითეულ რესპუბლიკის ერის მდგომარეობას; კერძოდ საქართველოს შესახებ სწერს:

„საქართველოს რესპუბლიკას უჭირავს დაახლოებით ასი ათასი კილ., მცხოვრებთა რაცხვი თითქმის ოთხ მილიონს უდრის. ამ მხარეში დიდი ბუნებრივი სიმდიდრეა: თამბაქოსა და ჩაის პლანტაციები, დიდად განვითარებულია მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა და სხვა. ამასთანავე საქართველოს აქვს ორი საუკეთესო პორტი ბათუმისა და ფოთის, რომელთა საშუალებით მას შეუძლია გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შემაერთებელ ხიდათ, საქართველოდან არის აგრეთვე მოკლე გზა შორეულ მხარეებში და გზა გახსნილია ციმბირის სიმდიდრისკენ.

საქართველომ უკვე დაამყარა მტკიცე სახელმწიფო წესრიგი და ძლიერი მთავრობა, რომელიც გამოსულია დემოკრატიის წიაღიდან და შესდგება მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიისაგან.

იმ მხარეში, სადაც ორი წლის წინეთ ოსმალეთის ყუმბარები ანგრევდენ მინდვრებს, ტყეებს და სამრეწველოებს და ანადგურებდენ განვითარებულ კულტურას, ეხლა ისევ ირხევიან ოქროს თავთავები და გულდასმით მუშაობს გლეხი და მუშა.

ძველი თქმულება — „არავის არ შეუძლია იყოს წინასწარმეტყველი საკუთარ სამშობლოში"-ო საქართველოში საბედნიეროდ არ გამართლდა. რუსეთის რევოლიუციის გამოჩენილი მეთაურები: ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი და სხვები, რომლებიც იყვნენ ბალშევიზმის მტერი, აღფრთოვანებით მიიღო მათმა სამშობლომ. ის, რაც მათ ვერ განახორციელეს პეტროგრადში, მათმა აქტიურმა მუშაობამ განახორციელა საქართველოში. ეხლა შრომის მოყვარე და მამაცი საქართველო მაგალითია სამეფო იმპერიის ყველა ერთათვის, რომ მხოლოდ ფხიზელ და აქტიურ დემოკრატიის წინაშე არ არის დახურული გზა ცხოვრების გაუმჯობესებისა და პროგრესისაკენ.

# სამხედრო ცნობა

ტფილისი, 15 მაისი.

**გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.**

ყაზახის მიმართულებით მტრის არტილერია და ცხენოსანი ჯარი 4 პოლკზე ნაკლები არ არის. 14 მაისს მტერი შემოტევაზე გადმოსვლას სცდილობდა, მაგრამ სახალხო გვარდიის მედგარი შეტევით ჩვენი პოზიციების 8 ვერსას იქით გავრეკეთ. წითელ ხიდთან ბრძოლაში და მის შემდეგ მტრის დევნის დროს ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი, ტყვეები, სამზარეულოები, არტილერიის საწყობი, სადაც, სხვათა შორის, 20,000 თოფის პატრონაზე მეტი აღმოჩნდა. მტერს წავართვით აგრეთვე ობოზი, სურსათ-სანოვაგე და შინაური საქონლის ჯოგები. ფოილოსთან, გუშინ, 14 მაისს, მტერი არტილერიიდან ყუმბარებს ესროდა ჩვენს პოზიციებს. დანარჩენ სხვა ფრონტებზე სიწყნარეა. მიღებულ ცნობების თანახმად ფოილოს ხიდთან ბრძოლაში ჩვენებს დაუზიანებიათ მტრის ორი ჯავშნიანი მატარებელი და მაზე მოსამსახურე რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

# ქართველები პოლონეთში.*)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ისტორიულ დაუსრულებელმა სრბოლამ კვლავ ამოატივტივა ცხოვრების ზედა პირზე ოდესღაც ბრწყინავი სახელმწიფოები, ხოლო დღევანდლამდე დამონავებულნი. მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლში წარმოიშვენ: პოლონეთი, საქართველო, ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი და ადერბეიჯანი.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ პირველად დაადასტურა პოლონეთის დამოუკიდებლობა, ვინაიდან მრავალ-ტანჯული პოლონეთი, მუდამ იბრძოდა სამთა კავშირთა შეერთებისათვის.

დღეს პოლონეთი ერთ ძლიერ სახელმწიფოთაგანია. მისი ძლიერი და მედგარი ჯარი კლდესავით უდგას ბალშევიკების გამოლაშქრებას და ყოველ ფეხის გადადგმაზე უკან ახევინებს, ამიტომ, დამარცხებული მტერი, ბალშევიკები სთხოვენ პოლონეთს ზავს.

ხოლო პოლონეთს, რომელიც მუდამ იბრძოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის, სურს ეს ზავი სხვა ახალ მეზობელ სახელმწიფოთა საკეთილდღეოთ გამოიყენოს. ამიტომ ქ. ვარშავში მოწვეულ კონფერენციაზე ყველა ახალ სახელმწიფოებს უხმობდნენ: უკვე ჩამოვიდნენ ფინეთის, ლატვის, რუმინეთის და ესტონეთის მინისტრები. ამის შესახებ ქართულ კომიტეტმა აცნობა ჩვენს ელჩებს: პარიჟში, ბერნში და ბერლინში რათა ამ უკანასკნელებმა როგორმე აცნობონ ამ კონფერენციის შესახებ საქართველოს მთავრობას. თხოულობენ უკრაინელები და ბელარუსებიც ამ კონფერენციაზე დაშვებას.

ვინაიდან ვარშავში იქნება მეორე ანტანტა, სადაც სამუდამოთ გადაწყდება ახალ სახელმწიფოთა საზღვრები და მათი საერთოთ დამოკიდებულება რუსეთთან.

ამ კონფერენციას დიდ მნიშვნელობას აძლევს მთელი ევროპა.

პოლონეთში მყოფნი ქართველები გულის ფანცქალით მოელიან შორეულ საქართველოდან რაიმე სანუგეშო ცნობებს, და თითოული ასეთი კონფერენცია თუ სხვა რამ, მუდამ აღელვებს მათ არსებას. პოლონეთში მოიპოვება საკმაო ქართველობა, რომელთა ინტერესებს არავინ იცავს. მატერიალურად უნუგეშო მდგომარეობაში არიან და იყო შემთხვევები, როდესაც იმედ დაკარგულებმა სიცოცხლეც მოისპეს, ხშირად კი ადგილობრივ რუსულ კომიტეტს მიმართავდენ.

ამიტომ გაითვალისწინა რა ზემოხსენებული პოლონეთის ქართველობამ, დაადგინა მოწვეულ ყოფილიყო საერთო ყრილობა.

ყრილობა შესდგა 1-ელ მარტს 1920 წ. დ არჩეულ იქმნა ქართული ეროვნული კომიტეტი პოლონეთში შემდეგის შემადგენლობით: ინჟ. სერგო ივანეს ძე ყურულიშვილი (თავმჯდომარედ) ვექილი კონსტ. ქუჩაძე (თავმჯდომ. ამხ.) ექიმიხუნდაძე (მდივანი. გაბო ხუნდაძის ძმა) ხაზინადარი კონდრატ ჭელიძე. წევრებათ: ილომაზ ოთარის ძე დადეშქელიანი (იურისტი), პოლკოვნიკი ქავთარაძე, ინჟ. ასათიანი, გიორგი ყაზბეგი, ნატალია ყაზბეგი, ვანო გურამიშვილი, ნინო არგუტინსკი-დოლგორუკოვი (მხარგძელი) და კაპიტანი ანთაძე.

მიზანი კომიტეტისა: გამოსცეს ქალაქ ვარშავში გაზეთი სამ ენაზე ქართულ, პოლონურ, ფრანგულ ენებზე და აგრეთვე პერიოდიული ბროშურები, რომლის საშუალებითაც გააცნობს პოლონელებს საქართველოს ისტორიას, მის წარსულსა და აწმყოს, მის პოლიტიკურსა და ეკონომიურს ცხოვრებას, აგრეთვე წიგნაკებს ქართულ ენაზე საქართველოში გასავრცელებლად, სადაც აწერილი იქნება პოლონეთის ცხოვრება.

დაარსებულ იქნება ქართული კლუბი, სადაც შეიკრებებიან პოლონელები და ქართველები ურთ-ერთის გასაცნობათ.—წაიკითხება ლექციები და რეფერატები საქართველოს შესახებ.

კომიტეტი აღმოუჩენს დახმარებას პოლონეთში მყოფ საქართველოს ქვეშევრდომთ, როგორც მატერიალურის ისე საექიმოს და მოაწყობს მათ საქართველოში დაბრუნებას.

კომიტეტი დაეხმარება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეს პოლონეთსა და საქართველოს შორის და იზრუნებს დაამყაროს საქართველოსა და პოლონეთს შორის კეთილმეზობლური განწყობილება.

კომიტეტი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ხოლო უსახსრობის გამო არ ძალუძს ფართეთ ფრთა გაშალოს.

პოლონეთის ფართო წრეები და მთავრობა მხურვალეთ შეხვდა ქართულ კომიტეტს და ვარშავის ყველა გაზეთებმა დიდი წერილები მოათავსეს ამის შესახებ.

იმედია შემდეგში ქართველ-პოლონელთა მეზობლური განწყობილება ღრმა ფესვებს გაიდგამს.

ჩვენ გვწამს, რომ თავისუფლების მოყვარე პოლონეთი და გულზვიადი პატარა კეკლუცი საქართველო მუდამ გამონახავენ საერთო ენას საერთო საქმისათვის.

შუქ-მოელვარე მომავალი შორით ბრწყინავს და თვისკენ გვიწევს.

იმედია საქართველოს მთავრობა არ ჩაჭკლავს ამ ჩვენი კომიტეტის ახლად აშლილ ყლორტებს.

დასასრულ, პოლონეთში მყოფნი ქართველები გულწრფელ სალამს უთვლიან საქართველოს დამფუძნებელ კრებას, საქართველოს მთავრობას და მის ხელმძღვანელთ.

გაუმარჯოს პოლონეთსა და საქართველოს შორის დამყარებულ მტკიცე კავშირს

ქ. ვარშავა, მარტი. ტაიფუნი.

*) როგორც ამ წერილიდან სჩანს და წერილის მომტანიც ადასტურებს ვარშავში მყოფი ქართველობა ნივთიერად თურმე მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფილა. თხოულობენ დახმარებას. რედ.

# უცხოეთი

**საზავო ხელშეკრულების ჩაბარება.**

პარიზიდან იტყობინებიან, რომ მაისის 12-ს ოსმალეთის დელეგატებს ჩააბარეს საზავო ხელშეკრულება. მილიერანს უთქვამს, რომ მოკავშირეების სურვილია სამართლიანი ზავი დაამყარონ. ერთი თვის ვადას აძლევენ ოსმალეთს, რომ მიღებულ საზავო ხელშეკ-

რულებაზე გასცეს პასუხი. თევფიქ-ფაშამ უპასუხა, რომ განიხილავენ თუ არა ზავის პირობებს პასუხს ერთ თვემდის გასცემენ.

**ნიტტის კაბინეტის გადადგომა.**

12 მაისს ნიტტის განუცხადებია პალატაში, რომ მისი კაბინეტი მეფეს გადადგომას სთხოვს.

**პოლონელები და ბოლშევიკები.**

ტფილისში მიღებულ ცნობების მიხედვით ბოლშევიკებს იერიში მიუტანიათ ქ. კიევზე. პოლონეთის ჯარის ნაწილები მედგრად უხვდებიან ბოლშევიკებს.

**ქურთისტანი, კილიკია და სირია.**

სან-რემოს კონფერენციაზე გამოტანილ რეზოლიუციაზე კილიკია და ქურთისტანი ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. საფრანგეთი კი მიიღებს სირიაში მანდატს.

# დეპეშები

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**პარიზი** (საკუთ. კორ.). მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში კანონ-პროექტი, რომლითაც თხოულობს გადასდოს კოლონიების მინისტრის განკარგულებაში 1.400.000 ფრანკი კოლონიალური გამოფენის მოსაწყობად ქ. მარსელში. გამოფენა გაიმართება 1922 წ. გამოფენის მიზანია მჭიდროდ დააკავშიროს საფრანგეთი კოლონიებთან ეკონომიურის და ვაჭრობის მხრივ.

„ჰავას“-ის სააგენტოს ატყობინებენ ნეაპოლიდან: „იტალიის სახალხო პარტიის კონგრესმა გადასწყვიტა მოითხოვოს, რომ მიწა უფასოდ გადაეცეს მიწის მუშებს“.

**პარიზი** (საკ. კორ.). რადიო-დეპეშათა სააგენტოს მოჰყავს ამონაწერი ცნობილ ეკონომისტ ლიუზატის წერილიდან 8 საათის სამუშაო დღის თანამედროვე მნიშვნელობის შესახებ. არასოდეს არ ყოფილა საჭირო ყველა სახელმწიფოს კოლექტიური თანამშრომლობა ისე, როგორც ეს დღეს არის საჭირო, ამ თანამშრომლობაში შეერთდენ: ყველა სახელმწიფო, ასოციაციები, მუშები და მეპატრონეები. თანამედროვე პირობებში უამისოდ ყველა რეფორმა უძლურია და არ შეუძლია კაცობრიობის გადარჩენა დაღუპვისაგან. ომმა გაანადგურა დიძალი სიმდიდრე. ომის დროს კაცობრიობამ დაჰკარგა უთვალავი სამუშაო დღე. დიდ ომში მოკლული 1365000 ფრანგი ჯარისკაცი, ომამდის ყოველ დღიურად 1.365,000 საათს მუშაობდა. საფრანგეთის 694,000 ინვალიდი ომამდის ყოველ დღიურად 6.940,000 საათს მუშაობდა. ამგვარად ომმა საფრანგეთს ყოველ დღიურად დაუკარგა 20 მილ. საათი. ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა მეომარი სახელმწიფოებიც. ეს გავლენას ახდენს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ქვეყნის ხსნის ერთად ერთი საშუალება მხოლოდ იმაშია, რომ მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღოს; ამ ინტენსიურ მუშაობაში უნდა ჩაებას როგორც მუშა, ისე მეპატრონე; ამნაირი მუშაობისათვის საჭიროა ტეხნიკის გაუმჯობესება და პროფესიონალური აღზრდა. უამისოდ რვა საათის სამუშაო დღის შემოღება არ იქნება პროგრესის ფაქტორი. პირიქით ეს დააგლახაკებს საზოგადოებას და და მისს ეკონომიურ კეთილდღეობას დავლას დასცემსო.

მის მოქმედებას მუშათა მოძრაობის მიმართ გენერალური საბჭო ჰკიცხავს მუშათა რევოლიუციონურ გამოსვლებს. განსაკუთრებით საბჭოს აღელვებს საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობის შეწყვეტა. მრავალი მოითხოვდა, რომ მთავრობამ მოკლე დროში გამოიმუშაოს და ხმის მისაცემათ წარადგინოს კანონპროექტი, რომელიც ეროვნული ცხოვრების საზარალო საზოგადოებრივ საჭიროების დარგებში გაფიცვებს აკრძალავს.

# მუნიციპალური ცხოვრება

**ქალ. ლანჩხუთის საბჭოში.**

**30 აპრილის სხდომა.**

ქალ. მოურავის ამხ. კ. იმნაძე აკეთებს მოხსენებას რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, აცნობს დეპეშებს მთავრობის და რესპუბლიკაში ახლად შექმნილ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას და მოწოდებას, რომ ჩრდილოეთიდან მომდგარ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ქვეყანა, აცდინოს ის დარბევას, რისთვისაც საჭიროა მთელი დემოკრატიის ფეხზე დაყენება. შეკრები მთავრობა და დამფუძნებელი კრებისა გარშემო, დაუყონებლივ ასრულება მთავრობის ბრძანებისა.

საბჭოს თავმჯდომარე ნიკ. წილოსანი ეხება საქმის მდგომარეობას და წინადადებას აძლევს საბჭოს გამოსთქვას თავისი აზრი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მისცეს გამგეობას სამოქმედ. დირექტივები.

ხმ. ათ. ებრალიძე ეხება მდგომარეობას და მოითხოვს წესრიგის და მთავრობის განკარგულების სასტიკად დაცვას.

ხმ. მიხეილ იმნაძე—ეხება ბოლშევიკების მოქმედებას და მათ კავშირს ფაშებთან, მოითხოვს საბჭოს ერთსულოვან მოქმედებას თავდაცვის საქმეში.

ხმ. ფილიპ. სიხარულიძე ეთანხმება წინა ორატორების გამოთქმულ აზრს და მოითხოვს მთავრობის ყოველივე ბრძანებას აუცილებლათ სისრულეში იქმნას მოყვანილი.

ხმ. ლ. კვეტაიშვილი მოითხოვს მთავრობის ყოველივე დადგენილებების ცხოვრებაში სასტიკად გატარებას. პროვოკატორებზე თვალყურის დევნებას და მათ ალაგმვას, შიგნით სასტიკი წეს-რიგის დაცვას და მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, დამფუძნებელი კრების სახელზე დეპეშის გაგზავნას, სადაც აღნიშნულ იქნება, რომ საბჭო მთავრობასთან ერთად იბრძოლებს ჩრდილ. მომდგარ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მოისმინა რა საბჭომ გამგეობის მოხსენება შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: დაევალოს გამგეობას მთავრობის და თავდაცვის საბჭოს ყოველივე დადგენილებების და განკარგულების ცხოვრებაში სასტიკად გატარება მობილიზაციის დაუბრკოლებლივ ჩატარება, პროვოკატორების ალაგმა, დაცვა, შიგნით სასტიკი წესრიგის. გაუგზავნეს დეპეშა მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას, რომ საბჭო მთავრობასთან იქნება და იბრძოლებს მასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

დაევალოს გამგეობას აგრეთვე შეადგინოს სია მობილიზაციის ომში გაწვეულ უმწეო პირთა მათთვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად.

**სიღნაღის ქალაქის თვითმართველობაში.**

დაევალოს საბჭოს პრეზიდიუმს და ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს განცხადების შინაარსის მიხედვით დეპეშა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, დამფუძნებელ კრებას და თავდაცვის საბჭოს.

რადგან ამ 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია როგორც გამგეობის აგრეთვე, საბჭოს მდივნის ჯამაგირი ერთად და თუ ნადირაშვილი დარჩება მარტოკა ხმოსანთა საბჭოს მდივნათ, საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვაში დამატებითი მისი ჯამაგირის შეტანა, კითხვა განსახილველათ გადაიდოს შემდეგი კრებისათვის, რისთვისაც დაევალოს საბიუჯეტო კომისიას და ქალაქის გამგეობას ამ საკითხის შესახებ წარმოუდგინონ კრებას თავიანთი მოსაზრება და დასკვნა: ასევე ეთხოვოს ნადირაშვილს კითხვის განხილვამდის შეასრულოს როგორც საბჭოს ისე გამგეობის მდივნის მოვალეობა.

დაწესებულ იქნეს ხორცზე შემდეგი ნიხრი: ცხვრის ხორცი გირვანქა—50 მან., ძროხის ხორცი გირ.—30 მან., კამეჩის ხორცი გირ.—20 მან., ბურვაკის ხორცი გირ.—50 მან.

ქალაქის თავის მოადგილე ი. გოცირიძემ გააკეთა მოხსენება და გააცნო კრებას, რომ ქალაქთა კავშირიდან ქ. სიღნაღის საჭიროებისათვის ნისიათ წამოიღო საქონელი, ღირებული 150,000 მან. რისთვისაც საჭიროა ხუთის თვის ვადით მიეცეს ვექსილი.

კრებამ მოისმინა რა ი. გოცირიძის მოხსენება, უკამათოთ ერთხმათ დაადასტურა.

# ახალი ამბები

✦ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ბორჩალოს მუსულმანთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ ქართველ დემოკრატიის ბელადს, რომელსაც მაღლა გიჭირავთ უფლება-თანასწორობის დროშა, აღითქვამთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას კარზე მომდგარ მტრის წინააღმდეგ, გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას. ყრილობის თავმჯდომარე შარიფოვი.

✦ სომხეთის გარეშე საქ. მინისტრისგან ამო ოგაჯანიანისგან საქართველოს რესპუბლიკასთან სომხეთის დიპლომატიურ მისიის სახელზე მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინება ალექსანდროპოლის ამბოხების ლიკვიდაციას.

✦ ერეკან და უნუზანლუხის შორის რკინის გზა გაფუჭებულია და მთელი გზა ამოვსებულია ქვით და ღორღით.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებით დახურულია პალმოვის კერძო გიმნაზია, რადგანაც ეს გიმნაზია პედაგოგიურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა. გიმნაზიის გამგეს ციგანკოვს წინადადება მიეცა პირველ ივნისამდე მოახდინოს გიმნაზიის ლიკვიდაცია.

✦ საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოცემულ ას მან. ბონებთა რიცხვში ბევრი ყალბი ბონები გამოერია, სერია ა. ზ. №№ 0036-დან 0055-დე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია განმარტავს: ყალბი ბონები გაირჩევიან ნამდვილისაგან იმით, რომ მეორე გვერდზე მოთავსებული წრეები არ არის შევსებული ვარდისფერი საღებავით, რისთვისაც ისინი არ მიიღებიან. გზათა უფროსმა აცნობა ამის შესახებ რკ. გზ. სადგურების კომისრებს.

✦ მეორე ქართული კლუბის მრავალ რიცხოვანი წევრნი და მამასახლისთა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის თავდაცვის საბჭოს, რესპუბლიკის ჯარს და გვარდიას. უსურვებს მათ მტრებზე სრულ გამარჯვებას და საქართველოს საზღვრების მედგრად დაცვას. მამასახლისთა საბჭომ დაადგინა გადასდოს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად 50 ათასი მან.

✦ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე ქუთაისიდან დაბრუნდა და კახეთში გაემგზავრა.

✦ დღეს 16 მაისს ქართულ კლუბში დაიდგმის ახალი პიესა „ქალის ცბიერება“. დრ. 4 მოქმ. და 5 სურ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი და აზიური ორკესტრი.

✦ გამოვიდა და ისყიდება ჟურ. „განათლების“ მორიგი ნომერი—№ 3 (მარტის) ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები—მ. ზანდუკელის, საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი— ს. დანელიასი, ძველ და ახალ მწერალთა და გამოჩენილ პედაგოგთა აზრი აღზრდის შესახებ—ქ. ბ—ძე, ახალი მიმდინარეობანი იტალიის სახალხო სკოლის ცხოვრებაში—ილ. გოგიასი, რაისა სიმონის ასული ჯაფარიძე გოგიასი, სრულიად საქ. მასწავ. დელეგატების პირველი ყრილობა (გაგრძელება 11 იანვრ. სხდომისა), ქრონიკა, ხატვა აწინდელ განახლებულ სკოლებში—ს. ნიკოლაიშვილი, ოფიციალი განყოფილება—სამინისტროსთან არსებულ სასწ. კომიტეტის ოქმები, განცხადებანი.

✦ დღეს, დილის 10 საათზე, ქვესტორის კაბინეთში (სასახლე) დანიშნულია ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტის სხდომა. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

✦ რედაქციამ მიიღო ი. იმედაშვილის გამოცემა შ. გომართლის პიესები: 1) „ქართველი სტუდენტობა“, 2) უკანასკნელი ქეიფი და 3) „კომისარი“.

✦ საპყრობილის № 1 უფროსად დანიშნულია მ. დუმბაძე.

✦ სამობილიზაციო ცხენის გადამალვისთვის პ. ხოდორსკის მიესაჯა გენერალ-გუბერნატორის სულაქველიძის განკარგულებით სამი თვით ციხეში დაპატიმრება.

✦ სამთო კომისია ინჟენერ ყიფშიძის მეთაურობით მიემგზავრება სამთო მადნეულობის გამოსარკვევად „ნავთის ჰალა“ დაკომისიას მიზნად აქვს მოაწყოს ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს ნავთის ამოღებას და დამუშავებას.

✦ დღეს რტიშჩევსკის ქუჩაზე იხსნება საერთაშორისო კლუბი.

✦ კოოპერატივმა „კახეთიამ“ იკისრა განსვენებულ კომპოზიტორ სულხანიშვილის ნაწარმოების გამოცემა პირველი ნაწარმოები გამოვა 26 მაისისთვის.

✦ მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭომ „შევარდენის“ საზოგადოების სასარგებლოდ 25 ათასი მან. გადასცა, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 3 ათასი მან. განათლების საზოგადოების სკოლას 10 ათასი მან. ქართველ ბუნების მეტყველთა—5 ათასი მან. სპეციალურ ორგანოს გამოსაცემად. სახალხო უნივერსიტეტს—3 ათასი მან. პოლიკლინიკ ცაგარელს მეფუტკრეობის ჟურნალის გამოსაცემად—5 ათასი მან. აგრონომიულ სტუდენტთა კავშირს—5 ათასი მან. სამეცნიერო სპეციალურ წიგნების გამოსაცემად კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის გუნდის გასაძლიერებლად—5 ათასი მანეთი, მეხუთე ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ—5 ათასი მან. განსვენებულ სცენის მოღვაწე შველიძის ოჯახის დასახმარებლად —3 ათასი მან.

# ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

**1770 20/IV 1920**

(დასასრული).

24 ივლისს 1783 წელს ქალაქ გიორგიევსკში პავლე პოტემკინმა რუსეთის მხრივ და თავადებმა გარსევან ჭავჭავაძემ და ივანე ბაგრატიონმა საქართველოს მხრივ ხელი მოაწერეს საქართველო-რუსეთის ტრაქტატს, რომელიც შესდგებოდა 13 მუხლისაგან და 4 კერძო არტიკულებით.

ამ ტრაქტატის ძალით ერეკლე თავის და თავის მემკვიდრეების მხრივ სცნობდა რუსეთის იმპერატორის უმაღლეს უფლებას და მფარველობას, პირობას იძლეოდა ვისიმე სხვის დამოკიდებულებაში აღარ შესულიყო; თავის მხრივ ეკატერინე იძლეოდა თავდებობას ერეკლეს მფლობელობათა მთლიანად დასაცველად. ქართველი მეფეები, აღვიდოდნენ რა ტახტზე მემკვიდრეებით, მოვალედ სცნობდნენ თავს ეუწყებინათ ამის შესახებ რუსის მეფეებისთვის და თავის გმირების შუამავლობით გამოეთხოვათ თავიანთთვის უმაღლესი სიგელი. ეკატერინემ თავის და თავის მემკვიდრეების მხრივ აღთქვა: საქართველოს ტომების მჭიდრო მოკავშირეებად ჩათვლა რუსეთის იმპერიისა და თანასწორად რუსეთის მცხოვრებთა, ხოლო მათ მტრების თავის მტრებად მიჩნევა, ერეკლე, მისი მემკვიდრეები დმ შთამომავალნი უნდა დაშთენილ იყვნენ საქართველოს ტახტზე, შინაური გამგეობა ქვეყნისა, სამართალი, მართვა და ხარკის მოკრება რჩებოდა ერეკლეს ნებასა და სარგებლობაში, რუსთა სამხედრო და სამოქალაქო უფროსებს აღეკრძალებოდათ გარევა მის რამე განკარგულებაში. საქართველოს დასაცველად რუსეთს ევალებოდა ორი სრული ბათალიონი ეყოლია აქ ოთხის ზარბაზნით.

ეს ბათალიონები, მთისა და ბელორუსისა, მართლაც მოვიდნენ საქართველოში ტრაქტატზე ხელ მოწერის შემდეგ. რუსთა მოსვლამ და ტრაქტატის გამოცხადებამ შეაშფოთა ოსმალეთი და სპარსეთი. ოსმალეთს არ სურდა შერიგებოდა რუსეთის მეზობლად ყოფნას. სისრულეში მოყვანილი ოქმის საწინააღმდეგოდ მან გაგზავნა თავის კაცები დაღესტანს, რომ მოაწყონ კახეთზე მოსევა. ამ ბრბოების გაფანტვაში ერთად გამოვიდნენ ქართველები და რუსები. ორი ბათალიონის ძალა, რა თქმა უნდა, არა კმაროდა საქართველოს საზღვრების დასაცველად, მაგრამ ეს ჯარიც, ტრაქტატის პირობათა მოთხოვნის მიუხედავად, გაწვეულ იქმნა საქართველოდგან 1785 წელს. საქართველო ისევ დაშთა თავის თავის ანაბარა. ამან გამოიწვია უსაზღვრო უბედურებანი.

საქართველოს დანაშთენი ბედი არ შედის ჩვენი წერილის გეგმაში. დასკვნაში საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე თავდადებით ასრულებდა ტრაქტატის ძალით მიღებულ მოვალეობათ, პირიქით ეკატერინე საქართველოსაც ისე მოექცა, როგორც პოლონეთს, ყირიმის სახანოს, ჩრდილოეთის კავკასიის მთიელებს, და მუდამ ადგა მის მიერ შეთვისებულ ორპირ პოლიტიკას. მან სავსებით ვერ შეაფასა მნიშვნელობა გიორგიევსკის ტრაქტატისა, რომელსაც ჰქონდა ყველა თვისებები საერთაშორისო ოქმის. დაარღვია-რა იგი, მან მოიმოქმედა ერთი ისტორიული უსამართლობა. ამის გამო საქართველოს ერთხელ კიდევ უნდა გადაეტანა აწიოკება 1795 წელს შემოსეულ აღამაჰმადხანისა, რომელმაც აოხრა მთელი ქვეყანა, ხოლო ტფილისში ქვა ქვაზე აღარ დასტოვა. ამ აოხრებამ სრულიად დააუძლურა საქართველო.

რა უნდა განეცადა მხცოვან ერეკლეს, როდესაც ხედავდა, რომ მისი ყველა გეგმები ირღვეოდნენ. სიმწარით აღსავსე იყო ბებერ ერეკლეს უკანასკნელი დღეები. მწუხარებით დასრულდა მისი გრძელ-ჟამიერი მეფობა. იგი გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წელს თელავში, ხოლო მისმა ნეშტმა საუკუნო სავანე ჰპოვა სვეტიცხოველში.

**საქართველოს გენერალურ შტაბის სამხედრო-საისტორიო არქივი.**

# ნავთის ხარჯის შესახებ

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

„სახალხო საქმის“ № 823-ში მოთავსებულია წერილი ვინმე მ—ლის, რომელიც გაკვირვებას გამოსთქვამს, თუ რატომ დაწესდა ნავთზე 4 მან., როცა ეს ნავთი წინად 2 მან. იყიდებოდაო.

ვინაიდან ნიხრი ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებისგან იყო გამოცხადებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილის 8-ს დადგენილებისა ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს ტფილისის სასამართლო პალატის სასამართლო თანამდებობათა უმცროს კანდიდატად ქეთევან ისაკის ასული ჩიგოგიძისა ა. წ. მაისის 10-დან იმ პირობით რომ მას ევალება ნახევ. წლის განმავლობაში ჩააბაროს სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია.

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა ნავთსადგურთა სამმართველოსადმი.**

10 მაისი, 1920 წ., № 50.

ნავთსადგურთა საქმეების სარევიზიოდ იგზავნება ფოთს სპეციალური კომისია დეპარტამენტის ახალ რკინის გზათა განყოფილების ინჟენერ კრანცის მეთაურობით. კომისიაში შევლენ სახელმწიფო კონტროლის და მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელნი და აგრეთვე ერთი პირი მცოდნე ბუხჰალტერიისა. კომისია გაემგზავროს ფოთს არა უგვიანეს 12 მაისისა.

10 მაისი, 1920 წ., № 51.

მტკიცდება: გზატკეცილთა სამმართველოს მე-7 დისტანციის უფროსის თანამდებობის ამსრულებლად გზათა ტეხნიკოსი ვასილ ნასიძე, ა. წ. 1 მაისიდან, დისტანციის უფროსის პირველი ხარისხის ჯამაგირით.

გზათა დეპ. დირექტ. ჭიჭინაძე.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

29 აპრილი, 1920 წ., № 156.

დაინიშნოს სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების უფროსად სამთო ინჟენერი ვასილ კონსტანტინეს ძე გუნცაძე ამა წლის 1 მაისიდან.

29 აპრილი, 1920 წ., № 157.

დანიშნულ იქმნას ქ. ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ დიმიტრი დავითის ძე ალშიბაია ამა წლის 1 მაისიდან.

30 აპრილი, 1920 წ., № 158.

დაინიშნოს ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ მიხეილ მალაქიას ძე ბაქრაძე ა. წ. 1 მაისიდან.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი ხ. ავალიანი.

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათუმის საკითხი და სომხეთის დელეგაცია.

გაზ. „ერთობაში" მოთავსებულია საუბარი საქართველოს რესპუბლიკის მისიის თავმჯდომარე ზ. კ. საბახტარაშვილთან, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა იტალიიდან; საუბარი ეხება ბათუმის საკითხს. მოგვყავს აქვე:

— რა მდგომარეობაშია ამჟამად ბათომის საკითხი?

ამ კითხვაზე კ. საბახტარაშვილმა შემდეგი განაცხადა:

— როგორც იცით, საკითხი ბათომის და ბათომის ოლქის შესახებ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წინაშე დაისვა ორჯერ: ერთხელ ლონდონში და შემდეგ სან-რემოში. ლონდონში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო შემდეგი აზრის იყო: მთელი ბათომის ოლქი უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილათ: თვით ქალაქი მცირედი ზონით უნდა გამოცხადებულიყო ინტერნაციონალურ ტერიტორიათ. ტერიტორია მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან ვიდრე 1914 წლის საზღვრამდე უნდა გადასცემოდა სომხეთის რესპუბლიკას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ბათომის ოლქისა —საქართველოს. მარა ლონდონის კონფერენციის შემდეგ ეს საკითხი გადასინჯულ იქნა ჯერ კიდევ პარიზში და მერე სან-რემოში. პარიზში მოკავშირეთა წარმომადგენლებმა საჭიროთ დაინახეს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილიყო ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის—საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის—შეთანხმებით. რამდენჯერმე მოხდა პარიზშივე ამ რესპუბლიკათა დელეგაციების შეერთებული სხდომა, ხოლო სან-რემოში, სადაც მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ჰქონდა სხდომები, ამ საკითხმა მიიღო უფრო კონკრეტიული ხასიათი. სან-რემოში წამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულა: ქ. ბათომი და ბათომის ოლქი გადავა საქართველოს სუვერენულ უფლებაში იმ პირობით, რომ სომხეთის რესპუბლიკას უფლება ჰქონებოდა რკინის გზის გაყვანისა ბათომამდე და ბათომიდან 1914 წლის საზღვრამდე რიზესკენ. ამ რკინის გზას უნდა გაევლო ჯერ ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, შემდეგ უნდა გადმოსულიყო მარჯვენა ნაპირზე ბათომთან შესაერთებლათ. ეს რკინის გზები საჭირო ზონითურთ უნდა აღიარებულიყო უდავოთ სომხეთის რესპუბლიკის სრულ საკუთრებაში. ამგვარათ იყო საკითხი დასმული სომხეთის დელეგაციისაგან სან-რემოში ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის მიერ. უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა სომხეთის დელეგაციის ხსენებულ მოთხოვნას აღნიშნულ თათბირზე მხარი დაუჭირა ულტიმატუმის სახით, მოითხოვა რა ამ პროექტის მიღება საქართველოს დელეგაციისაგან. საქართველოს დელეგაციამ, რა თქმა უნდა, კატეგორიული უარი განაცხადა ასეთი პროექტის მიღებაზე, ვინაიდან ამ პროექტის მიღება მოასწავებდა სამუსლიმანო საქართველოს და მით მთელი საქართველოს რესპუბლიკის საარსებო ინტერესების შებღალვას; ის კვეცდა საქართველოს სუვერენულ უფლებას მთელ ოლქზე, სრულიად არ უწევდა ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და მით აუტანელ მდგომარეობაში აგდებდა მთელ ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანობას. საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ ის მხედველობაში ღებულობს სომხეთის ინტერესებს, თვით საქართველო გაიყვანს საჭირო რკინის გზას და, რა თქმა უნდა, სომხეთის რესპუბლიკას მისცემს საშვალებას ამ სწორის გზით სარგებლობისას. ადერბეიჯანის დელეგაციაც დაეთანხმა საქართველოს დელეგაციის მოსაზრებას. სომხეთის დელეგაციამ კი ამაზე განაცხადა შემდეგი: თუ სომხეთის დელეგაციის პროექტი მიღებული არ იქნება, მაშინ ის გაცილებით უფრო მეტს მოთხოვნას წარადგენს ბათომის ოლქის შესახებ.

— მაშასადამე ბათომის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია?

— ასეთ მდგომარეობაში იყო ბათომის საკითხი 26 აპრილამდე, როცა მე გამოვედი სან-რემოდან. უმაღლესმა საბჭომ შესწყვიტა აქ თავისი სხდომები და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ უმაღლეს საბჭოს შემდეგ სხდომამდე ეს ფრიად მნიშვნელოვანი და ჩვენი რესპუბლიკის საარსებო საკითხი გადაუწყვეტელი რჩება.

— სჩანს, რომ ბათომის საკითხს ამწვავებს სომხეთის რესპუბლიკის მოთხოვნილება.

— როგორც ნათქვამიდან სჩანს, სომხეთი ბათომსა და მის ოლქზე დიდ პრეტენზიებს აცხადებს და ეს გარემოება, სამწუხაროთ, ბათომის საკითხის გადაჭრას მეტის მეტად ართულებს.

— თქვენ, ეჭვი არ არის, ხელთ გაქვთ ნათქვამის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები.

— რა თქმა უნდა მაქვს და ყველა საბუთები გადავეცი გარეშე საქმეთა სამინისტროს. საბუთები უეჭველია თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული.

# მდგომარეობა გუმრში

**(ალექსანდროპოლი)**

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იტყობინება 13 მაისის დეპეშით ერევნიდან. „ჯავშნიანი მატარებლისა და ქალაქ გუმბრის დაპყრობამ მოღალატე ბოლშევიკთა ჯგუფის მიერ, საერთო აღშფოთება გამოიწვია. ყველა მოქალაქენი და ჯარის ნაწილები მოითხოვენ ბოლშევიკურ ავანტიურის ლიკვიდაციას. პარლამენტის წევრები წავიდნენ. მთავრობამ ყოველგვარი ზომები მიიღო ბოლშევიკების მოქმედების წინააღმდეგ. მიღებულია კანონი, რომლის ძალით სიკვდილით ისჯება მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულნი. გუმბრში გაიგზავნა ძლიერი დამსჯელი რაზმი მოხალისეებითურთ. 12 მაისს მოხდა პირველი შეხვედრა ბალშევიკთა ჯავშნოსანთან, რომელიც გაიქცა. ჯარი გუმბრისკენ იწევს. მიღებულ ზომების გამო, ალექსანდროპოლის ბალშევიკებმა წინადადებით მიმართეს დღეს მთავრობას. მთავრობამ წინადადება მისცა დამორჩილდნენ. ყარსიდან რადიოთი იტყობინებიან, რომ იქ სრული სიმშვიდეა. ჯარი ყველგან ძლიერ ნების ყოფას იჩენს რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლაში. არსად წესრიგი არ დარღვეულა. ცხოვრება ყველგან ნორმალურათ მიმდინარეობს.

# საქართველოს გარშემო

გერმანიის სოციალ-დემ. ორგანო „ფორვერტი" უმაღლეს საბჭოს მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ცნობას სიხარულით ეგებება; აღწერს თვითეულ რესპუბლიკის ერის მდგომარეობას; კერძოდ საქართველოს შესახებ სწერს:

„საქართველოს რესპუბლიკას უჭირავს დაახლოებით ასი ათასი კილ., მცხოვრებთა რაცხვი თითქმის ოთხ მილიონს უდრის. ამ მხარეში დიდი ბუნებრივი სიმდიდრეა: თამბაქოსა და ჩაის პლანტაციები, დიდად განვითარებულია მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა და სხვა. ამასთანავე საქართველოს აქვს ორი საუკეთესო პორტი ბათუმისა და ფოთის, რომელთა საშუალებით მას შეუძლია გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შემაერთებელ ხიდათ, საქართველოდან არის აგრეთვე მოკლე გზა შორეულ მხარეებში და გზა გახსნილია ციმბირის სიმდიდრისკენ.

საქართველომ უკვე დაამყარა მტკიცე სახელმწიფო წესრიგი და ძლიერი მთავრობა, რომელიც გამოსულია დემოკრატიის წიაღიდან და შესდგება მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიისაგან.

იმ მხარეში, სადაც ორი წლის წინეთ ოსმალეთის ყუმბარები ანგრევდენ მინდვრებს, ტყეებს და სამრეწველოებს დაანადგურებდენ განვითარებულ კულტურას, ეხლა ისევ ირხევიან ოქროს თავთავები და გულდასმით მუშაობს გლეხი და მუშა.

ძველი თქმულება — „არავის არ შეუძლია იყოს წინასწარმეტყველი საკუთარ სამშობლოში"-ო საქართველოში საბედნიეროდ არ გამართლდა. რუსეთის რევოლიუციის გამოჩენილი მეთაურები: ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი და სხვები, რომლებიც იყვნენ ბალშევიზმის მტერი, აღფრთოვანებით მიიღო მათმა სამშობლომ. ის, რაც მათ ვერ განახორციელეს პეტროგრადში, მათმა აქტიურმა მუშაობამ განახორციელა საქართველოში. ეხლა შრომის მოყვარე და მამაცი საქართველო მაგალითია სამეფო იმპერიის ყველა ერთათვის, რომ მხოლოდ ფხიზელ და აქტიურ დემოკრატიის წინაშე არ არის დახურული გზა ცხოვრების გაუმჯობესებისა და პროგრესისაკენ.

# სამხედრო ცნობა

ტფილისი, 15 მაისი.

**გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.**

ყაზახის მიმართულებით მტრის არტილერია და ცხენოსანი ჯარი 4 პოლკზე ნაკლები არ არის. 14 მაისს მტერი შემოტევაზე გადმოსვლას სცდილობდა, მაგრამ სახალხო გვარდიის მედგარი შეტევით ჩვენი პოზიციების 8 ვერსას იქით გავრეკეთ. წითელ ხიდთან ბრძოლაში და მის შემდეგ მტრის დევნის დროს ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი, ტყვეები, სამზარეულოები, არტილერიის საწყობი, სადაც, სხვათა შორის, 20,000 თოფის პატრონზე მეტი აღმოჩნდა. მტერს წავართვით აგრეთვე ობოზი, სურსათ-სანოვაგე და შინაური საქონლის ჯოგები. ფოილოსთან, გუშინ, 14 მაისს, მტერი არტილერიიდან ყუმბარებს ესროდა ჩვენს პოზიციებს. დანარჩენ სხვა ფრონტებზე სიწყნარეა. მიღებულ ცნობების თანახმად ფოილოს ხიდთან ბრძოლაში ჩვენებს დაუზიანებიათ მტრის ორი ჯავშნიანი მატარებელი და მაზე მოსამსახურე რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

# ქართველები პოლონეთში *)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ისტორიულ დაუსრულებელმა სრბოლამ კვლავ ამოატივტივა ცხოვრების ზედა პირზე ოდესღაც ბრწყინავი სახელმწიფოები, ხოლო დღევანდლამდე დამონავებულნი. მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლში წარმოიშვენ: პოლონეთი, საქართველო, ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი და ადერბეიჯანი.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ პირველად დაადასტურა პოლონეთის დამოუკიდებლობა, ვინაიდან მრავალ-ტანჯული პოლონეთი, მუდამ იბრძოდა სამთა კავშირთა შეერთებისათვის.

დღეს პოლონეთი ერთ ძლიერ სახელმწიფოთაგანია. მისი ძლიერი და მედგარი ჯარი კლდესავით უდგას ბალშევიკების გამოლაშქრებას და ყოველ ფეხის გადადგმაზე უკან ახევინებს, ამიტომ, დამარცხებული მტერი, ბალშევიკები სთხოვენ პოლონეთს ზავს.

ხოლო პოლონეთს, რომელიც მუდამ იბრძოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის, სურს ეს ზავი სხვა ახალ მეზობელ სახელმწიფოთა საკეთილდღეოთ გამოიყენოს. ამიტომ ქ. ვარშავაში მოწვეულ კონფერენციაზე ყველა ახალ სახელმწიფოებს უხმობდნენ: უკვე ჩამოვიდენ ფინეთის, ლატვის, რუმინეთის და ესტონეთის მინისტრები. ამის შესახებ ქართულ კომიტეტმა აცნობა ჩვენს ელჩებს: პარიჟში, ბერნში და ბერლინში რათა ამ უკანასკნელებმა როგორმე აცნობონ ამ კონფერენციის შესახებ საქართველოს მთავრობას. თხოულობენ უკრაინელები და ბელარუსებიც ამ კონფერენციაზე დაშვებას.

ვინაიდან ვარშავში იქნება მეორე ანტანტა, სადაც სამუდამოთ გადაწყდება ახალ სახელმწიფოთა საზღვრები და მათი საერთოთ დამოკიდებულება რუსეთთან.

ამ კონფერენციას დიდ მნიშვნელობას აძლევს მთელი ევროპა.

პოლონეთში მყოფნი ქართველები გულის ფანცქალით მოელიან შორეულ საქართველოდან რაიმე სანუგეშო ცნობებს, და თითოეული ასეთი კონფერენცია თუ სხვა რამ, მუდამ აღელვებს მათ არსებას. პოლონეთში მოიპოვება საკმაო ქართველობა, რომელთა ინტერესებს არავინ იცავს. მატერიალურად უნუგეშო მდგომარეობაში არიან და იყო შემთხვევები, როდესაც იმედ დაკარგულებმა სიცოცხლეც მოისპეს, ხშირად კი ადგილობრივ რუსულ კომიტეტს მიმართავდენ.

ამიტომ გაითვალისწინა რა ზემოხსენებული პოლონეთის ქართველობამ, დაადგინა მოწვეულ ყოფილიყო საერთო ყრილობა.

ყრილობა შესდგა 1-ელ მარტს 1920 წ. და არჩეულ იქმნა ქართული ეროვნული კომიტეტი პოლონეთში შემდეგის შემადგენლობით: ინჟ. სერგო ივანეს ძე ყურულიშვილი (თავმჯდომარედ) ვექილი კონსტ. ქუჩაძე (თავმჯდომ. ამხ.) ექიმი ხუნდაძე (მდივანი. გაბო ხუნდაძის ძმა) ხაზინადარი კონდრატ ჭელიძე. წევრებათ: ილომაზ ოთარის ძე დადეშქელიანი (იურისტი), პოლკოვნიკი ქავთარაძე, ინჟ. ასათიანი, გიორგი ყაზბეგი, ნატალია ყაზბეგი, ვანო გურამიშვილი, ნინო არგუტინსკი-დოლგორუკოვი (მხარგძელი) და კაპიტანი ანთაძე.

მიზანი კომიტეტისა: გამოსცეს ქალაქ ვარშავში გაზეთი სამ ენაზე ქართულ, პოლონურ, ფრანგულ ენებზე და აგრეთვე პერიოდიული ბროშურები, რომლის საშუალებითაც გააცნობს პოლონელებს საქართველოს ისტორიას, მის წარსულსა და აწმყოს, მის პოლიტიკურსა და ეკონომიურს ცხოვრებას, აგრეთვე წიგნაკებს ქართულ ენაზე საქართველოში გასავრცელებლად, სადაც აწერილი იქნება პოლონეთის ცხოვრება.

დაარსებულ იქნება ქართული კლუბი, სადაც შეიკრიბებიან პოლონელები და ქართველები ურთ-ერთის გასაცნობათ.—წაიკითხება ლექციები და რეფერატები საქართველოს შესახებ.

კომიტეტი აღმოუჩენს დახმარებას პოლონეთში მყოფ საქართველოს ქვეშევრდომთ, როგორც მატერიალურის ისე საექიმოს და მოაწყობს მათ საქართველოში დაბრუნებას.

კომიტეტი დაეხმარება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეს პოლონეთსა და საქართველოს შორის და იზრუნებს დაამყაროს საქართველოსა და პოლონეთს შორის კეთილმეზობლური განწყობილება.

კომიტეტი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ხოლო უსახსრობის გამო არ ძალუძს ფართეთ ფრთა გაშალოს.

პოლონეთის ფართო წრეები და მთავრობა მხურვალეთ შეხვდა ქართულ კომიტეტს და ვარშავის ყველა გაზეთებმა დიდი წერილები მოათავსეს ამის შესახებ.

იმედია შემდეგში ქართველ-პოლონელთა მეზობლური განწყობილება ღრმა ფესვებს გაიდგამს.

ჩვენ გვწამს, რომ თავისუფლების მოყვარე პოლონეთი და გულზვიადი პატარა კეკლუცი საქართველო მუდამ გამონახავენ საერთო ენას საერთო საქმისათვის.

შუქ-მოელვარე მომავალი შორით ბრწყინავს და თვისკენ გვიწევს.

იმედია საქართველოს მთავრობა არ ჩაჰკლავს ამ ჩვენი კომიტეტის ახლად აშლილ ყლორტებს.

დასასრულ, პოლონეთში მყოფნი ქართველები გულწრფელ სალამს უთვლიან საქართველოს დამფუძნებელ კრებას, საქართველოს მთავრობას და მის ხელმძღვანელთ.

გაუმარჯოს პოლონეთსა და საქართველოს შორის დამყარებულ მტკიცე კავშირს

ქ. ვარშავა, მარტი. **ტაიფუნი.**

*) როგორც ამ წერილიდან სჩანს და წერილის მომტანიც ადასტურებს ვარშავში მყოფი ქართველობა ნივთიერად თურმე მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფილა. თხოულობენ დახმარებას. **რედ.**

# უცხოეთი

**საზავო ხელშეკრულების ჩაბარება.**

პარიზიდან იტყობინებიან, რომ მაისის 12-ს ოსმალეთის დელეგატებს ჩააბარეს საზავო ხელშეკრულება. მილიერანს უთქვამს, რომ მოკავშირეების სურვილია სამართლიანი ზავი დაამყარონ. ერთი თვის ვადას აძლევენ ოსმალეთს, რომ მიღებულ საზავო ხელშეკ-

რულებაზე გასცეს პასუხი. თევფიქ-ფაშამ უპასუხა, რომ განიხილავენ თუ არა ზავის პირობებს პასუხს ერთ თვემდის გასცემენ.

**ნიტტის კაბინეტის გადადგომა.**

12 მაისს ნიტტის განუცხადებია პალატაში, რომ მისი კაბინეტი მეფეს გადადგომას სთხოვს.

**პოლონელები და ბოლშევიკები.**

ტფილისში მიღებულ ცნობების მიხედვით ბოლშევიკებს იერიში მიუტანიათ ქ. კიევზე. პოლონეთის ჯარის ნაწილები მედგრად უხვდებიან ბოლშევიკებს.

**ქურთისტანი, კილიკია და სირია.**

სან-რემოს კონფერენციაზე გამოტანილ რეზოლიუციაზე კილიკია და ქურთისტანი ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. საფრანგეთი კი მიიღებს სირიაში მანდატს.

# დეპეშები

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**პარიზი** (საკუთ. კორ.). მთავრობამ შეიტანა დეპუტატთა პალატაში კანონ-პროექტი, რომლითაც თხოულობს გადასდოს კოლონიების მინისტრის განკარგულებაში 1.400.000 ფრანკი კოლონიალური გამოფენის მოსაწყობად ქ. მარსელში. გამოფენა გაიმართება 1922 წ. გამოფენის მიზანია მჭიდროდ დააკავშიროს საფრანგეთი კოლონიებთან ეკონომიურის და ვაჭრობის მხრივ.

„გავას -ის სააგენტოს ატყობინებენ ნეაპოლიდან: „იტალიის სახალხო პარტიის კონგრესმა გადასწყვიტა მოითხოვოს, რომ მიწა უფასოდ გადაეცეს მიწის მუშებს“.

**პარიზი** (საკ. კორ.). რადიო-დეპეშათა სააგენტოს მოჰყავს ამონაწერი ცნობილ ეკონომისტ ლიუზატის წერილიდან 8 საათის სამუშაო დღის თანამედროვე მნიშვნელობის შესახებ. არასოდეს არ ყოფილა საჭირო ყველა სახელმწიფოს კოლექტიური თანამშრომლობა ისე, როგორც ეს დღეს არის საჭირო, ამ თანამშრომლობაში შეერთდენ: ყველა სახელმწიფო, ასოციაციები, მუშები და მეპატრონეები. თანამედროვე პირობებში უამისოდ ყველა რეფორმა უძლურია და არ შეუძლია კაცობრიობის გადარჩენა დაღუპვისაგან. ომმა გაანადგურა დიდძალი სიმდიდრე. ომის დროს კაცობრიობამ დაჰკარგა უთვალავი სამუშაო დღე. დიდ ომში მოკლული 1365000 ფრანგი ჯარისკაცი, ომამდის ყოველ დღიურად 1.365,000 საათს მუშაობდა. საფრანგეთის 694,000 ინვალიდი ომამდის ყოველ დღიურად 6.940,000 საათს მუშაობდა. ამგვარად ომმა საფრანგეთს ყოველ დღიურად დაუკარგა 20 მილ. საათი. ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა მეომარი სახელმწიფოებიც. ეს გავლენას ახდენს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ქვეყნის ხსნის ერთად ერთი საშუალება მხოლოდ იმაშია, რომ მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღოს; ამ ინტენსიურ მუშაობაში უნდა ჩაებას როგორც მუშა, ისე მეპატრონე; ამნაირი მუშაობისათვის საჭიროა ტეხნიკის გაუმჯობესება და პროფესიონალური აღზრდა. უამისოდ რვა საათის სამუშაო დღის შემოღება არ იქნება პროგრესის ფაქტორი. პირიქით ეს დაავლახაკებს საზოგადოებას და და მისს ეკონომიურ კეთილდღეობას დავლას დასცემსო.

მის მოქმედებას მუშათა მოძრაობის მიმართ გენერალური საბჭო ჰკიცხავს მუშათა რევოლიუციონურ გამოსვლებს. განსაკუთრებით საბჭოს აღელვებს საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობის შეწყვეტა. მრავალი მოითხოვდა, რომ მთავრობამ მოკლე დროში გამოიმუშავოს და ხმის მისაცემათ წარადგინოს კანონპროექტი, რომელიც ეროვნული ცხოვრების საზარალო საზოგადოებრივ საჭიროების დარგებში გაფიცვებს აკრძალავს.

# მუნიციპალური ცხოვრება

**ქალ. ლანჩხუთის საბჭოში.**

**30 აპრილის სხდომა.**

ქალ. მოურავის ამხ. კ. იმნაძე აკეთებს მოხსენებას რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, აცნობს დეპეშებს მთავრობის და რესპუბლიკაში ახლად შექმნილ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას და მოწოდებას, რომ ჩრდილოეთიდან მომდგარ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ქვეყანა, აალაგოს ის დარბევას, რისთვისაც საჭიროა მთელი დემოკრატიის ფეხზე დაყენება. შემკრები მთავრობა და დამფუძნებელი კრებისა გარეშემო, დაუყონებლივ ასრულება მთავრობის ბრძანებისა.

საბჭოს თავმჯდომარე ნიკ. წილოსანი ეხება საქმის მდგომარეობას და წინადადებას აძლევს საბჭოს გამოსთქვას თავისი აზრი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მისცეს გამგეობას სამოქმედ. დირექტივები.

ხმ. ათ. ებრალიძე ეხება მდგომარეობას და მოითხოვს წესრიგის და მთავრობის განკარგულების სასტიკად დაცვას.

ხმ. მიხეილ იმნაძე—ეხება ბოლშევიკების მოქმედებას და მათ კავშირს ფაშებთან, მოითხოვს საბჭოს ერთსულოვან მოქმედებას თავდაცვის საქმეში.

ხმ. ფილ. სიხარულიძე ეთანხმება წინა ორატორების გამოთქმულ აზრს და მოითხოვს მთავრობის ყოველივე ბრძანებას აუცილებლათ სისრულეში იქმნას მოყვანილი.

ხმ. ლ. კვეტაიშვილი მოითხოვს მთავრობის ყოველივე დადგენილებების ცხოვრებაში სასტიკად გატარებას. პროვოკატორებზე თვალყურის დევნებას და მათ ალაგმვას, შიგნით სასტიკი წეს-რიგის დაცვას და მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, დამფუძნებელი კრების სახელზე დეპეშის გაგზავნას, სადაც აღნიშნულ იქნება, რომ საბჭო მთავრობასთან ერთად იბრძოლებს ჩრდილ. მომდგარ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მოისმინა რა საბჭომ გამგეობის მოხსენება შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: დაევალოს გამგეობას მთავრობის და თავდაცვის საბჭოს ყოველივე დადგენილებების და განკარგულების ცხოვრებაში სასტიკად გატარება მობილიზაციის დაუბრკოლებლივ ჩატარება, პროვოკატორების ალაგმა, დაცვა, შიგნით სასტიკი წესრიგის. გაუგზავნეს დეპეშა მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას, რომ საბჭო მთავრობასთან იქნება და იბრძოლებს მასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

დაევალოს გამგეობას აგრეთვე შეადგინოს სია მობილიზაციის ომში გაწვეულ უმწეო პირთა მათთვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად.

**სიღნაღის ქალაქის თვითმართველობაში.**

დაევალოს საბჭოს პრეზიდიუმს და ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს განცხადების შინაარსის მიხედვით დეპეშა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, დამფუძნებელ კრებას და თავდაცვის საბჭოს.

რადგან ამ 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია როგორც გამგეობის აგრეთვე, საბჭოს მდივნის ჯამაგირი ერთად და თუ ნადირაშვილი დარჩება მარტოკა ხმოსანთა საბჭოს მდივნათ, საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვაში დამატებითი მისი ჯამაგირის შეტანა, კითხვა განსახილველათ გადაიდოს შემდეგი კრებისათვის, რისთვისაც დაევალოს საბიუჯეტო კომისიას და ქალაქის გამგეობას ამ საკითხის შესახებ წარმოუდგინონ კრებას თავიანთი მოსაზრება და დასკვნა: ასევე ეთხოვოს ნადირაშვილს კითხვის განხილვამდის შეასრულოს როგორც საბჭოს ისე გამგეობის მდივნის მოვალეობა.

დაწესებულ იქნეს ხორცზე შემდეგი ნიხრი: ცხვრის ხორცი გირვანქა—50 მან., ძროხის ხორცი გირ.—30 მან., კამეჩის ხორცი გირ.—20 მან., ბურვაკის ხორცი გირ.—50 მან.

ქალაქის თავის მოადგილე ი. გოცირიძემ გააკეთა მოხსენება და გააცნო კრებას, რომ ქალაქთა კავშირიდან ქ. სიღნაღის საჭიროებისათვის ნისიათ წამოიღო საქონელი, ღირებული 150,000 მან. რისთვისაც საჭიროა ხუთის თვის ვადით მიეცეს ვექსილი.

კრებამ მოისმინა რა ი. გოცირიძის მოხსენება, უკამათოთ ერთხმათ დაადასტურა.

# ახალი ამბები

✦ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ბორჩალოს მუსულმანთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ ქართველ დემოკრატიის ბელადს, რომელსაც მაღლა გიჭირავთ უფლება-თანასწორობის დროშა, აღითქვამთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას კარზე მომდგარ მტრის წინააღმდეგ, გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას ყრილობის თავმჯდომარე შარიფოვი.

✦ სომხეთის გარეშე საქ. მინისტრისგან ამო ოგაჯანიანისგან საქართველოს რესპუბლიკასთან სომხეთის დიპლომატიურ მისიის სახელზე მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინება ალექსანდროპოლის ამბოხების ლიკვიდაციას.

✦ ერევან და უნუბანლუხის შორის რკინის გზა გაფუჭებულია და მთელი გზა ამოვსებულია ქვით და ღორღით.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებით დახურულია პალმოვის კერძო გიმნაზია, რადგანაც ეს გიმნაზია პედაგოგიურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა. გიმნაზიის გამგეს ციგანკოვს წინადადება მიეცა პირველ ივნისამდე მოახდინოს გიმნაზიის ლიკვიდაცია.

✦ საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოცემულ ას მან. ბონებთა რიცხვში ბევრი ყალბი ბონები გამოერია, სერია ა. ზ. №№ 0036-დან 0055-დე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია განმარტავს: ყალბი ბონები გაირჩევიან ნამდვილისაგან იმით, რომ მეორე გვერდზე მოთავსებული წრეები არ არის შევსებული ვარდისფერი საღებავით, რისთვისაც ისინი არ მიიღებიან. გზათა უფროსმა აცნობა ამის შესახებ რკ. გზ. სადგურების კომისრებს.

✦ მეორე ქართული კლუბის მრავალ რიცხოვანი წევრნი და მამასახლისთა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის თავდაცვის საბჭოს, რესპუბლიკის ჯარს და გვარდიას. უსურვებს მათ მტრებზე სრულ გამარჯვებას და საქართველოს საზღვრების მედგრად დაცვას. მამასახლისთა საბჭომ დაადგინა გადასდოს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად 50 ათასი მან.

✦ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე ქუთაისიდან დაბრუნდა და კახეთში გაემგზავრა.

✦ დღეს 16 მაისს ქართულ კლუბში დაიდგმის ახალი პიესა „ქალის ცბიერება“. დრ. 4 მოქმ. და 5 სურ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი და აზიური ორკესტრი.

✦ გამოვიდა და ისყიდება ჟურ. „განათლების“ მორიგი ნომერი—№ 3 (მარტის) ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები—მ. ზანდუკელის, საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი— ს. დანელიასი, ძველ და ახალ მწერალთა და გამოჩენილ პედაგოგთა აზრი აღზრდის შესახებ—ქ. ბ—ძე, ახალი მიმდინარეობანი იტალიის სახალხო სკოლის ცხოვრებაში—ილ. გოგიასი, რაისა სიმონის ასული ჯაფარიძე გოგიასი, სრულიად საქ. მასწავ. დელეგატების პირველი ყრილობა (გაგრძელება 11 იანვრ. სხდომისა), ქრონიკა, ხატვა აწინდელ განახლებულ სკოლებში—ს. ნიკოლაიშვილი, ოფიციალი განყოფილება—სამინისტროსთან არსებულ სასწ. კომიტეტის ოქმები, განცხადებანი.

✦ დღეს, დილის 10 საათზე, ქვესტორის კაბინეთში (სასახლე) დანიშნულია ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტის სხდომა. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

✦ რედაქციამ მიიღო ი. იმედაშვილის გამოცემა შ. გომართლის პიესები: 1) „ქართველი სტუდენტობა“, 2) უკანასკნელი ქეიფი და 3) „კომისარი“.

✦ საპყრობილის № 1 უფროსად დანიშნულია მ. დუმბაძე.

✦ სამობლიზაციო ცხენის გადამალვისთვის ბ. ხოდორსკის მიესაჯა გენერალ-გუბერნატორის სულაქველიძის განკარგულებით სამი თვით ციხეში დაპატიმრება.

✦ სამთო კომისია ინჟენერ ყიფშიძის მეთაურობით მიემგზავრება სამთო მადნეულობის გამოსარკვევად „ნავთის ჭალა“ დაკომისიას მიზნად აქვს მოაწყოს ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს ნავთის ამოღებას და დამუშავებას.

✦ დღეს რტიშჩევსკის ქუჩაზე იხსნება საერთაშორისო კლუბი.

✦ კოოპერატივმა „კახეთიამ“ იკისრა განსვენებულ კომპოზიტორ სულხანიშვილის ნაწარმოების გამოცემა პირველი ნაწარმოები გამოვა 26 მაისისთვის.

✦ მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭომ „შევარდენის“ საზოგადოების სასარგებლოდ 25 ათასი მან. გადასცა, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 3 ათასი მან. განათლების საზოგადოების სკოლას 10 ათასი მან. ქართველ ბუნების მეტყველთა—5 ათასი მან. სპეციალურ ორგანოს გამოსაცემად. სახალხო უნივერსიტეტს—3 ათასი მან. პოლკოვნიკ ცაგარელს მეფუტკრეობის ჟურნალის გამოსაცემად—5 ათასი მან. აგრონომიულ სტუდენტთა კავშირს—5 ათასი მან. სამეცნიერო სპეციალურ წიგნების გამოსაცემად კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის გუნდის გასაძლიერებლად—5 ათასი მანეთი, მეხუთე ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ—5 ათასი მან. განსვენებულ სცენის მოღვაწე შველიძის ოჯახის დასახმარებლად—3 ათასი მან.

# ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

## 1770 $\frac{20}{IV}$ 1920

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი).

24 ივლისს 1783 წელს ქალაქ გიორგიევსკში პავლე პოტემკინმა რუსეთის მხრივ და თავადებმა გარსევან ჭავჭავაძემ და ივანე ბაგრატიონმა საქართველოს მხრივ ხელი მოაწერეს საქართველო-რუსეთის ტრაქტატს, რომელიც შესდგებოდა 13 მუხლისაგან და 4 კერძო არტიკულებით.

ამ ტრაქტატის ძალით ერეკლე თავის და თავის მემკვიდრეების მხრივ სცნობდა რუსეთის იმპერატორის უმაღლეს უფლებას და მფარველობას, პირობას იძლეოდა ვისიმე სხვის დამოკიდებულებაში აღარ შესულიყო; თავის მხრივ ეკატერინე იძლეოდა თავდებობას ერეკლეს მფლობელობათა მთლიანად დასაცველად. ქართველი მეფეები, აღვიდოდნენ რა ტახტზე მემკვიდრეებით, მოვალედ სცნობდნენ თავს ეუწყებინათ ამის შესახებ რუსის მეფეებისთვის და თავის გმირების შუამავლობით გამოეთხოვათ თავიანთთვის უმაღლესი სიგელი. ეკატერინემ თავის და თავის მემკვიდრეების მხრივ აღთქვა: საქართველოს ტომების მჭიდრო მოკავშირეებად ჩათვლა რუსეთის იმპერიისა და თანასწორად რუსეთის მცხოვრებთა, ხოლო მათ მტრების თავის მტრებად მიჩნევა, ერეკლე, მისი მემკვიდრეები დმ შთამომავალნი უნდა დაშთენილ იყვნენ საქართველოს ტახტზე, შინაური გამგეობა ქვეყნისა, სამართალი, მართვა და ხარკის მოკრება რჩებოდა ერეკლეს ნებასა და სარგებლობაში, რუსთა სამხედრო და სამოქალაქო უფროსებს აღეკრძალებოდათ გარევა მის რამე განკარგულებაში. საქართველოს დასაცველად რუსეთს ევალებოდა ორი სრული ბათალიონი ეყოლია აქ ოთხის ზარბაზნით.

ეს ბათალიონები, მთისა და ბელორუსისა, მართლაც მოვიდნენ საქართველოში ტრაქტატზე ხელ მოწერის შემდეგ. რუსთა მოსვლამ და ტრაქტატის გამოცხადებამ შეაშფოთა ოსმალეთი და სპარსეთი. ოსმალეთს არ სურდა შერიგებოდა რუსეთის მეზობლად ყოფნას. სისრულეში მოყვანილ ოქმის საწინააღმდეგოდ მან გაგზავნა თავის კაცები დაღესტანს, რომ მოაწყონ კახეთზე მოსევა. ამ ბრბოების გაფანტვაში ერთად გამოვიდნენ ქართველები და რუსები. ორი ბათალიონის ძალა, რა თქმა უნდა, არა კმაროდა საქართველოს საზღვრების დასაცველად, მაგრამ ეს ჯარიც, ტრაქტატის პირობათა მოთხოვნის მიუხედავად, გაწვეულ იქმნა საქართველოდგან 1785 წელს. საქართველო ისევ დაშთა თავის თავის ანაბარა. ამან გამოიწვია უსაზღვრო უბედურებანი.

საქართველოს დანაშთენი ბედი არ შედის ჩვენი წერილის გეგმაში. დასკვნაში საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე თავდადებითასრულებდა ტრაქტატის ძალით მიღებულ მოვალეობათ, პირიქით ეკატერინე საქართველოსაც ისე მოექცა, როგორც პოლონეთს, ყირიმის სახანოს, ჩრდილოეთის კავკასიის მთიელებს, და მუდამ ადგა მის მიერ შეთვისებულ ორპირ პოლიტიკას. მან სავსებით ვერ შეაფასა მნიშვნელობა გიორგიევსკის ტრაქტატისა, რომელსაც ჰქონდა ყველა თვისებები საერთაშორისო ოქმის. დაარღვია-რა იგი, მან მოიმოქმედა ერთი ისტორიული უსამართლობა. ამის გამო საქართველოს ერთხელ კიდევ უნდა გადაეტანა აწიოკება 1795 წელს შემოსეულ აღამაჰმადხანისა, რომელმაც აოხრა მთელი ქვეყანა, ხოლო ტფილისში ქვა ქვაზე აღარ დასტოვა. ამ აოხრებამ სრულიად დააუძლურა საქართველო.

რა უნდა განეცადა მხცოვან ერეკლეს, როდესაც ხედავდა, რომ მისი ყველა გეგმები ირღვეოდნენ. სიმწარით აღსავსე იყო ბებერ ერეკლეს უკანასკნელი დღეები. მწუხარებით დასრულდა მისი გრძელ-ჟამიერი მეფობა. იგი გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წელს თელავში, ხოლო მისმა ნეშტმა საუკუნო სავანე ჰპოვა სვეტიცხოველში.

**საქართველოს გენერალურ შტაბის სამხედრო-ისტორიული არქივი.**

# ნავთის ხარჯის შესახებ

**(წერილი რედაქციის მიმართ)**

„სახალხო საქმის“ № 823-ში მოთავსებულია წერილი ვინმე მ—ლის, რომელიც გაკვირვებას გამოსთქვამს, თუ რატომ დაწესდა ნავთზე 4 მან., როცა ეს ნავთი წინად 2 მან. იყიდებოდაო.

ვინაიდან ნიხრი ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებისგან იყო გამოცხადებუ-

ლი, ამიტომ სასურსათო განყოფილება საჭიროდ სთვლის ყველას საყურადღებოდ გამოაცხადოს შემდეგი:

ფასი ნავთისა 16 მან. ფრანკო საწყობი დაწესებულია სათბობ მასალის განმანაწილებელ კომიტეტისაგან შემდეგი ანგარიშით:

1) 64 მან. ფრანკო ქარხანა ბაქო;
2) 5 მან. ადერბეიჯანის აქციზი;
3) 1 მან. 80 კაპ. გადასახადი;
4) 2 მან. 27 კაპ. სხვა და სხვა ხარჯები;
5) 29 მან. 90 კაპ. ფრანკო ტფილისამდე;
6) 12 მან. აქციზი საქართველოსი;
7) 1 მან. 80 კაპ. გადასახადი;
8) 07 კაპ. საკანცელარიო ხარჯები;

სულ 116 მან. 84 კაპ.

ჩასხმა ქვაბებში 1 მან.
განადენი 2% 2 მან. 35 კაპ.

სულ 120 მან. 19 კაპ.

15% მოსაგები რკინის გზას 138 მ. 19 კ.
შენახვა რეზერვუარში 4 მან.
განადენი რეზერვუარში 3% 4 მან. 27 კ.
10% მოგება ნავთის გამყიდველს 160 მან.

აი ამ ციფრების მიხედვით იყო შედგენილი სათბობ სითხის განმანაწილებელ კომიტეტის მიერ გამომუშავებული ნიხრი.

ეს ნიხრი მიიღო სახელმძღვანელოდ სასურსათო განყოფილებამაც.

ქ. გამგეობის წევრის მაგ. (ხელმოწერ.).

---

## განცხადებანი

# კახეთის რკინის გზაზე

**მატარებლების მიმოსვლა 15 მაისიდან 1920 წლისა**

**ტფილისი—თელავი**

მატ. № 4 ტფილისიდან გადის დილის 8. საათზე და 30 წ.
„ № „ თელავში მიდის ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე.

**თელავი—ტფილისი**

მატ. № 3 თელავიდან გამოდის დილის 8 საათზე.
„ № „ ტფილისში მოდის ნაშუადღევს 4 ს. და 30 წ.

**გურჯაანი—წნორის წყალი**

მატ. № 6 გურჯაანიდან გადის ნაშუადღევის 3 ს. და 15 წ.
„ № „ წნორის წყალში მიდის ნაშუადღევის 4 ს. და 15 წ.

**წნორის-წყალი—გურჯაანი**

მატ. № 5 წნორის წყლიდან გამოდის დილის 8 ს. და 20 წ.
„ № „ გურჯაანში მოდის დილის 9 ს. და 20 წ. 498 3—2

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3479. მართა ესტატეს ასული თარხანიშვილის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს საერთო განყოფილებისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 984 3—2

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3478 ვერა ივანეს ასული ცეხონოვსკის სახელზე, მიღებული ფინანსთა სამინისტროს სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 985 3—2

---

პავლე ანთიმოს ძე კობახიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, სამსახურის ნუსხა და სიმინდის დუბლიკატი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 495 3—3

---

გიორგი ნიკოლოზის ძე ჰაჰიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის მოწმობა, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 999 3—3

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა ანთიმოზ ბურდილაძის სახელზე, მიღებული ტფ. სახ. უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 986 3—3

---

დაიკარგა 6 სულის სასურსათო ბარათი № 21004 რომანოზ ბაკურაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 989 3—3

---

1920 წ. მარტის 30-ს დაკარგული სასურსათო წიგნაკები № 16031 5 სულის და № 2086 6 სულის, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 987 3—2

---

პასპორტი № 349, მიღებული სომხეთის დიპლომატიურ მისიის საკონსულო განყოფილებიდან 1920 წ. თებერვლის 24-ს ალექსანდრე მიკირტიჩის ძე დილონიანცის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 958 3—2

---

დაკარგულია პასპორტი № 5284, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრისაგან 1913 წ. ქსენია უხოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 881 3—3

---

დაიკარგა ანჯაფარიძის და ზოდელავას. ტრამვაის ქუჩაზე №5 მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 946 3—3

---

დაიკარგა ივანე ოძელაშვილის, პრიუტის ქუჩაზე № 36 მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 348 3—3

---

დაიკარგა უვადო პასპორტი მოცემული ტფილისის პოლიცმეისტრისგან № 3488 21|III 1908 წ. გრიგოლ დავითის ძე ნარიმანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 873 3—3

---

დაიკარგა პასპორტი № 18977 დჟანდი ოსმან ოღლის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 947 3—3

---

დავკარგე მოწმობა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული, რასაც გაუქმებულათ ვაცხადებ. შალვა ათანასის ძე შათირიშვილი. 997 3—3

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქუთათელაძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 996 3—3

---

დაიკარგა პასპორტი რიბკაშა ლომეს ასული ჩაჩანაშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის კომისარისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3—3

---

დირექციის მიერ დაკარგული ოთხი კლასის მოწმობა № 248, მიღებული ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიიდან 1895 წლ. 31 აგვ., გაუქმებულათ ჩაითვალოს. 930 3—1

---

დაიკარგა სანაოსნო საზოგადოების „ლოიდ ტრესტინოს“ კონოსამენტი № 378 ქ. სტამბოლიდან ქ. ფოთში საქონლის გაგზავნის შესახებ—3 ყუთი ჰურჭლისა მარკა „მ“ 304—305—306, ზემოთ აღნიშნულ მარკების გარდა ყუთებზე არის მარკები „ნ. ვ.“ გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1015 3—1

---

საქართველოში სომეხთა საეპარქიო კონსისტორია ეძებს ზანგეზურის შუშის მაზრის მცხოვრებს ნაფიც ვექილს ქრისტეფორე სარქისის ძე მნაცაკანიანცს, მის ცოლთან ანტარამა სარქისის ასულ მნაცაკანიანთან განქორწინების შესახებ. 599 1—1

---

დაიკარგა პასპორტი № 920 ავეტის მკრტიჩიანცის სახელზე, მიღებული ნიხის სამაზრო უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1076 3—1

---

დავკარგე პირადობის მოწმობა № 21158 ვლადიმერ ექვთიმეს ძე მონიავას სახელზე მიღებული საქ. რეს. რკინის გზის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1043 3—2

---

სამსონ გრიგორის ძე ვალიხოვსკი აცხადებს, რომ მას დაეკარგა პირადობის მოწმობა მიღებული სოხუმის ქალაქის კომისრისაგან 11 თებერვ. 1920 წ. № 34. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1046 3—2

---

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 4325 ვარლამ ჩიკვაიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1036 3—2

---

ვალენტინა ტორანსკაიას მიერ დაკარგულია პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესასვლელი ბილეთი № 103, რომელიც ითვლება გაბათილებულათ. 911 3—3

---

დაიკარგა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა რაფაილ მიხეილის ძე იაკობიშვილის სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 908 3—3

---

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 22308 აღებული ტფ. სინოდალურ კანტორიდან 3/XII 1909 წ. ანა ვასილის ასული ახობაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 884 3—3

---

ივანე ისაკის ძე მალაციძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან, ნავთის მოთხოვნილებები და პურის ბარათი, მიღებული რკინის გზიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 983 3—2

---

დაიკარგა რუსთაველის პროსპექტზე № 6 მდებარე ძმები მანთაშევის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 865 3—3

---

დაიკარგა პასპორტი ისა ალი ახპაროს სახელზე, მიღებული კინსერის (დაღესტანი) უბნის ბოქაულისაგან 1914 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 968 3—2

---

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის მოწმობა № 1202 ტარასი სიმონიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 970 3—2

---

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სამმართველოს უფროსი ნოტარიუსის მიერ დეკემბრის 15-ს № 2542 ვასილ დავითის ძე დავითელაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1039 3—2

---

მარიამ ხაჩატურის ასული ბურტიკოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი მისი ქმრის გიორგი წყალობას ძე ბურტიკოვის სახლისა, რომელიც მდებარეობს ორიის ქ., № 14. მპოვნელს თხოვს მიიტანოს ქალ. მილიციის სამმართველოში წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1016 3—2

---

დაიკარგა მატრიკული № 1216 მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სერგი ფილიპეს ძე ლეჟავას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 976 3—2

---

ინჟ. ი. ო. დადანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული მისდამი სიმონ ალექსანდრეს ძე აგიაძეზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სართიჭალის უბანში მდებარე მამული „სასეითოშვილო“-ს მართვა. ვექილობა შედგენილია ტფილისის ნოტარიუს მაჭავარიანთან 20 ოქტ. რესტრი № 8233. 918 3—2

---

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 187 ალექსანდრე ვასილის ძე ახველდიანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 978 3—3

---

დაიკარგა გვარდიის წევრობის ბილეთი ივანე ანტონის ძე ჩაჩიბაიას სახელზე, მიღებული გუდაუთის გვარდიის შტაბიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

---

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 1960 ნიკოლოზ ესტატეს ძე შენგელიას სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 974 3—3

---

სილოვან ნიკოს ძე ბარაბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მეტრიკული ამონაწერი და რკინის გზის სამმართველოდან მიღებული პირადობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 871 3—3

---

დაიკარგა ოვანეს შოგოიანცის, ავლაბრის ფერმაში მდებარე სახლის დავთარი, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 962 3—3

---

დაიკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 45 დავით საფაროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 972 3—2

---

დაიკარგა საბინაო დავთარი სუპ კარაპეტის ხევში გრიმის შესახვევში № 5 მდებარე აგასი ერიციანის სახლის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 957 3—2

---

ალექსანდრე ივანეს ძე ალექსი-მესხიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული 1901 წლ. ოქტომბრის 6-ს № 2141 მამულზე, რომელიც მდებარეობს ს. ქვიშხეთში, ტფილ. გუბ. მაზრა და რომელიც შეიცავს შენობებს ეზოთი და ბაღით ზომ. დაახლ. 1 დეს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 977 3—2

---

დაკარგულია უვადო პასპორტი № 175 მიცემული სოხუმის ოლქ. სამმართვ. გუდაუთ. უბნიდან კონსტანტინე კირილეს ძე ბორგანჯიას სახელზე 1917 წ. ივლისის 4-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 883 3—2

---

დაკარგულია მოწმობა, მიღებული სარეგისტრაციო საავტომობილო კომისიისაგან 18 ნოემბერს 1919 წ. № 209 ავტომობილისა „ნეპირი“-ს შესახებ № 528. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 933 3—2

---

იასონ ამბაკოს ძე თავდიდიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1. საპენსიო წიგნაკი, მიღებული ტფილისის ქალ. გამგეობიდან 1919 წ. № 27. 2. პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან № 22344. 3. პირადობის მოწმობა, მიღებული ნიგოითის საზოგადოების კომისარისგან. 4. ვინტოვკის ტარების ნებართვა. აღნიშნული საბუთ-ბი გაუქმებულათ ჩაითვალოს; 939 3—2

---

დაიკარგა მოწმობა № 97, მოცემული რაჭის სახალხო გვარდიისაგან: 12 სექტემბრის 1919 წ. „კოზიხოხის წვერზე“ დენიკინის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შესახებ. 2) ნებართვა რევოლვერი „ნაგანის“ ტარებისა № 27218. გაუქმებულათ ჩაითვალოს. დავით სარდიონის ძე კობახიძე. 892 3—2

---

დაიკარგა ერასტო ანდრიას ძე დანელიას მიერ მარტვილის გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობა, მიღებული ამავე გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—2

---

ვექილობა, მიცემული აბელ გრიგოლის ძე ყაზაროვის მიერ ტიგრან ვარლამის ძე ტეროგანეზოვზე და დამტკიცებული ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1919 წ. გიორგობისთვის 12-ს № 6026 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 949 3—2

---

დაკარგულია პაის წიგნაკი № 425, მიღებული კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებიდან ალექსი ვასილის ძე ბაევის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 932 3—2

---

# ტფილისის ნავთის მრეწველთა კომერციული საზ. გამგეობა

ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის ივნისის 6-ს დილის 11 საათზე გამგეობის ბინაზე, ვაჭართა ბანკის სახლში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულია ბ. ბ. აქციონერთა

## წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია: 1. გამგეობის მოხსენება. 2. მოხსენებიდან გამომდინარე საკითხების განხილვა. 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4. 1919 წლის ანგარიშისა და ბალანსის განხილვა და დამტკიცება. 5. 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 6. გამგეობის ორის წევრის და ერთი კანდიდატის არჩევა. 7. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

თუ პირველი კრება არ შესდგა აქციონერთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება გაიმართება ამავე წლის 20 ივნისს იქვე, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ დამსწრეთა რაოდენობისა. 1070 1—1

---

# კახელ მევენახეთა და მეღვინეთა აქციონერული

**საზოგადოება** „კახური ღვინო“-ს **გამგეობა**

**ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ**

## წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 6 ს ივნისს

**დილის 11-ს საათზედ ქ. ტფილისში ცენტრობანკის ბინაზედ.**

განსახილველია:

1) წარსული 1919 წლ. ანგარიში.
2) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა სხვა და სხვა საზოგადოების შინაური საქმეების საკითხთა გამო.
4) სარევიზით კომისიის წევრებისა და მათ კანდიდატების არჩევნები, თანახმად § 21 წესდების. 1084 2—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.